მთიული და კაკლის ხე

კაცი ვინმე იყო, ზეგანთა ალაგთა მყოფი, რომელსა წალკოტი არა ენახა.

ჩამოვიდა ბართა ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა შიგან. ყოველივე ნახა. ხეხილი, მწვანილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლი მისცა: ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადო: ცოტას ბალახისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო!

მიიარ–მოიარა და ნიგოზთა ძირსა დაეძინა. მოვიდა ყვავი, ზე შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცსა შუბლს დაეცა და გაუტეხა. აღდგა კაცი იგი და თქვა: ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!

– ეგება, ის კაცი უკეთ იქმოდეს და ისრე სჯობდეს, და შენ მეფის წინ სრულ მის აუგს იტყვი.

თქვა რუქამ არაკი: